საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030147369205919

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/7843 **02 / მაისი / 2019 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა
დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ნოშრევან ლომთათიძეს

ბატონო ნოშრევან,

თქვენი 2019 წლის 19 აპრილის № 01/15641 წერილის პასუხად, რომელიც ეხება მიმდინარე წლის 27-28 ივნისს ქ. დილიჟანში დაგეგმილ საქართველო-სომხეთის მთავრობათაშორისი კომისიის მე-10 სხდომის გამართვის საკითხს, გაცნობებთ, რომ როგორც წერილზე თანდართულ მთავრობათაშორისი კომისიის მე-9 სხდომის ოქმშია აღნიშნული სომხეთის მხარესთან 2011 წელს გაფორმებულია ურთიერთგაგების მემორანდუმი „სოციალური დაცვის სფეროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს შორის შრომისა და სოციალურ საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“. რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროში მე-9 სხდომის ოქმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებას, მხარეთა შორის კონკრეტული თანამშრომლობა არ განხორციელებულა.

ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, მხარეთა შორის მოქმედებს „სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 1993 წლის 19 მაისის და 2017 წლის 23 თებერვლის „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სომხეთის ჯანმრთელობის სამინისტროს შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები. აქვე აღსანიშნავია, რომ 2017 წელს გაფორმებული უწყებათაშორისი შეთანხმება, რომელიც ინიცირებულ იქნა სომხეთის რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ 2016 წლის 8 თებერვლის № 02/0070 ნოტით, სრულად ასახავს ჯანდაცვის სფეროში მხარეთა შორის თანამშრომლობის აქტუალურ საკითხებს, მხარეთა მიერ გამოხატული ნებისა და საერთო ინტერესის გათვალისწინებით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მხარეთა შორის თანამშრომლობა დარეგულირდეს ერთი საერთაშორისო შეთანხმებით. შესაბამისად, მზადყოფნას გამოვთქვამთ, მთავრობათაშორისი კომისიის მე-10 სხდომის ფარგლებში გაიმართოს კონსულტაციები „სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 1993 წლის 19 მაისის შეთანხმების გაუქმებისა და 2017 წლის 23 თებერვლის „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სომხეთის ჯანმრთელობის სამინისტროს შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განახლების მიზნით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია